პირველი წაგება სტუმრად

მოსკოვი. ვ.ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონი. 19 ივლისი.

“სპარტაკი” (მოსკოვი) _ “დინამო” (თბილისი) 1:0 (1:0).

“სპარტაკი”: მასლაჩენკო, პეტროვი, დიკარევი, ვარლამოვი, კრუტიკოვი, ლოგოფეტი, იანკინი, გრებნევი, ოსიანინი, რეინგლოდი, ჰუსაინოვი.

“დინამო”: კოტრიკაძე, ცხოვრებოვი, რეხვიაშვილი, ხურცილავა, ჭელიძე, გ. სიჭინავა (ხუციშვილი), პეტრიაშვილი, ასათიანი, მეტრეველი, ნოდია, მესხი.

მსაჯი ე. ჰიარმსი (ტალინი).

დუბლიორები _ 2:1 “სპარტაკის” სასარგებლოდ.

წლევანდელი ჩემპიონატის ერთ-ერთ საოცრებას წარმოადგენს ის, რომ თბილისის “დინამო” წაუგებლად თამაშობს მოწინააღმდეგეთა მინდვრებზე _ სტუმრად. ის, რაც უწინ ათეული წლების მანძილზე ჩვენი გუნდის ტრადიციულ სუსტ ადგილს წარმოადგენდა, ახლა “შემოსავლის” უხვ წყაროდ იქცა.

და აი, ამჯერად დინამოელებმა პირველი დამარცხება იწვნიეს გასვლაზე. რასაკვირველია, ყველა თამაშს მეტოქეთა სტადიონებზე ვერ მოიგებს ვერავინ, მათ შორის თბილისის “დინამოც”, მაგრამ “სპარტაკთან” ამ წარუმატებლობას უკანონოს ვერავითარ შემთხვევაში ვერ ვუწოდებთ. ჩვენი გუნდი, რატომღაც, თამაშობდა ინერტულად, უტემპოდ, ხშირი შეცდომებით, თამაშობდა თავის შესაძლებლობებზე გაცილებით დაბლა. სპარტაკელებს არაფერი გაუკეთებიათ ისეთი, რომ უძლური ვყოფილიყავით თუნდაც 1 ქულა აგვეღო.

პირველი საყვედური _ თავდასხმას. კარგა ხანია მესხს ასე სუსტად არ უთამაშია. 90 წუთი მოანდომა მან იმ “პრინციპული” ამოცანის შესრულებას, რომ როგორმე მოეტყუებინა პეტროვი, როგორმე გაემარჯვა მასთან ბრძოლაში. 90 წუთი მოანდომა მან... სულ 2-3 გადაცემის შესრულებას საჯარიმო მოედანზე. ეს იყო მარცხენა გარემარბის “წვლილი” და დაახლოებით ასეთივე უეფექტო იყო მეტრეველის თამაშიც მოპირდაპირე ფლანგზე. სისტემატურად კარგავდნენ ბურთებს ცენტრში ნოდია და ასათიანი, ხოლო სიჭინავა მეტოქეთ უფრო ხშირად აწვდიდა ბურთს, ვიდრე თავისიანებს.

სადებიუტო სტადია მთლიანად მოსკოველებისა იყო და სწორედ “სპარტაკის” ამ უპირატესობის დროს დაკარგეს ასათიანმა და მეტრეველმა ბურთის გატანის ასპროცენტიანი შანსი. განსაკუთრებით ხელსაყრელ მდგომარეობაში იმყოფებოდა ასათიანი. რომელმაც რამდენიმე მეტრიდან ააცილა კარს ბურთი.

გოლი, რომელიც 22-ე წუთზე გაიტანა იანკინმა, ერთადერთი აღმოჩნდა, მაგრამ კოტრიკაძე რომ მეტ მზადყოფნაში ყოფილიყო, შორიდან დარტყმულ ბურთს აუცილებლად აიღებდა.

(ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.).
“ლელო”, 20 ივლისი, 1967 წ.